






# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(331) 2025 წ. 1-15 მარტი ფასი 1 ლარი



## ძვირფასო ქალებო,
## გილოცავთ მარტის დღესასწაულებს!



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი – **ავთანდილ გულიკაშვილი** მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან (ხუთი და მეტი შვილის) დედებს ესტუმრა და 60 ოჯახს 3 მარტი - დედის დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

***„საქართველოში 3 მარტი 1991 წლიდან აღინიშნება და პატივისცემის გამოხატვის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. ვულოცავ ამ ლამაზ დღეს ყველა დედას! მთელი ჩვენი სამშობლოს ისტორია ქართველი დედების გმირობის, სათნოების, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითია და ასე გრძელდება დღესაც. ყველა დედას ვუსურვებ ბედნიერებას, მშვიდობას, ჯანმრთელობას და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსთვის საამაყო, პატრიოტი და განათლებული შვილების აღზრდას! შვილებს კი ვუსურვებ მუდამ ჰქონოდეთ უნარი, სითბო და პატივისცემა არ მოაკლონ მშობლებს***! - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.







ზამთარს შეუყვარდა მარტი,
მარტიც არაფერზე ფიქრობს,
გრძნობა არეული დაჰქრის,
და მეტს, არც არაფერს ითხოვს...
მარტი მოღალატე თვეა,
ხშირად გაზაფხულს რომ ტოვებს,
მერე გულგაშლილი ხვდება,
წვიმებს, ქარებსა და თოვებს...
მზისთვის უტკენია გული,
ღრუბლებს მოაფარა სითბო,
იას გაუყინა გული,
გრძნობებს ვეღარაფრით ითბობს...
ზამთარს მოეწონა მარტი,
მანაც კეკლუცობა იწყო,
კოცნას უპირებდა ურცხვი,
ფიფქი საამბოროდ იხმო...
ახლა ქორწილი აქვთ თურმე,
თეთრი შეიკერა კაბა,
ზამთარს გავყვებიო ამბობს,
აქ ხომ არ დარჩება აბა...
ტოტზე შეყინული კვირტი,
ირგვლივ დაგროვილი სევდა,
ასეთ სიგიჟეებს მარტი,
როდის დაამთავრებს ნეტავ?
ეძინა ყველას,
დედამიწასაც ეკიდა რული...
და მერე უცებ,
როგორც ღამეულ ზმანებაში შემკრთალი სული,
ისე მოვიდა ეს გაზაფხული...

*გოდერძი ჩოხელი*





**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, კულტურის სახლის მცირე დარბაზში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სფეროს ღვაწლმოსილი და წარმატებული ქალბატონები.

ღონისძიება მუსიკალურად ჯემალ ბურჯანაძის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა გააფორმეს.

***"ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს!***

***გაზაფხულივით თბილ - და ყვავილებივით ფერად ცხოვრებას გისურვებთ!***

***განსაკუთრებული მადლიერება და სითბო მინდა გამოვხატო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი ქალბატონების, ჩვენი-სამშობლოსთვის თავდადებული გმირების დედების, დების, მეუღლეების მიმართ...***

***დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების, ექიმების, პედაგოგების, საგანმანათლებლო, ხელოვნების, მომსახურების სფეროს მუშაკების, პოლიციელების, სპორტსმენების, ადგილობრივი მედიის და ყველა დიასახლისის მიმართ, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით, პროფესიონალიზმით გვერდში გვიდგანან და ზრუნავენ თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.***

***თქვენი შესაძლებლობები უსაზღვროა!***

***ეს დღე და ყველა დღე - თქვენია".-*** განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა და სტუმრებს თაიგულები, მისალოცი ბარათები და საჩუქრები გადასცა.





*ქეთი ბრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**28 თებერვალი, 2025 წელი**

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი ბილაშვილი უძღვებოდა.***

***დღის წესრიგის საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა. როგორც მან აღნიშნა:***

– პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზრდება 11893580,39 ლარით, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 11877373,2 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი 16207,19 ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 13532477,8 ლარით, გადასახდელები მიზნობრივი ტრანსფერით 34300 ლარით, და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 8279400 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზრდება 21846177,8 ლარით და შეადგენს 59163277,8 ლარს(ნაშთი 10421742,13 ლარი).



საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით 2025 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია ***8867162*** ლარი;

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:***

***საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით 2025 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:***

1)საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 4975556 ლარი, კერძოდ,

ა)**სოფელ თოხლიაურის** გზის მოასფალტება - 788274 ლარი, თანადაფინანსება 41489 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ბ) **სოფელ გომბორის** წითელი ქუჩა – გზის მოასფალტება - 941913ლარი, თანადაფინანსება 49575 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

გ)**სოფელ მზისგულის** გზის მოასფალტება - 395456 ლარი, თანადაფინანსება 20814 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

დ)**სოფელ ნინოწმინდაში** 11 ქუჩის გზის მოასფალტება - 612168 ლარი, თანადაფინანსება 271042 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ე)**სოფელ გიორგიწმინდაში** სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ღერძი I, ღერძი II, ღერძი III) - 458067 ლარი, თანადაფინანსება 24109 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ვ)**სოფელ ბურდიანში** (მანავი) საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 567468 ლარი, თანადაფინანსება 29867 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ზ) **სოფელ უჯარმაში** ეკლესიის მიმდებარედ გზის მოასფალტება - 645559 ლარი, თანადაფინანსება 33977 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

თ)ქ. **საგარეჯოში** ვ. კიკვიძის ქუჩისა და ვ. კიკვიძის ჩიხის რეაბილიტაცია - 566651 ლარი,თანადაფინანსება 29824 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

თანადაფინანსება 2025წ დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 350000, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე დაემატება 150697 ლარი.

2) **ავარიული** შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამას დაემატა 3398455 ლარი,კერძოდ:

ა) ქ. **საგარეჯოში თამარ მეფის** ქუჩა №24-ში კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია - 183151 ლარი, თანადაფინანსება 9640 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ბ) ქ. **საგარეჯოში კახეთის გზატკეცილ**ი №10 მრავალბინიანი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია 137143 ლარი, თანადაფინანსება 7219 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

გ) ქ. **საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი** №12 მრავალბინიანი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია - 485934 ლარი, თანადაფინანსება 25576 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

დ) **ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩა** №17 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია -250629 ლარი, თანადაფინანსება 13192 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ე) **ქ. საგარეჯოში იმედის ქუჩა** №19 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია - 158866 ლარი, თანადაფინანსება 8362 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ვ) ქ. **საგარეჯოში იმედის ქუჩა** №23 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია - 153026 ლარი, თანადაფინანსება 8055 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ზ) ქ. **საგარეჯოში იმედის ქუჩა** №21 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია - 164138 ლარი, თანადაფინანსება 8639 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

თ) ქ. **საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი** №12ა ხუთსართულიანი და ერთსართულიანი კორპუსის რეაბილიტაცია - 592636 ლარი, თანადაფინანსება 31192 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ი) ქ.**საგარეჯოში იმედის ქუჩა** №15 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია -234276 ლარი, თანადაფინანსება 12331 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

კ) ქ.**საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩა** №20 მრავალბინიანი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 201439 ლარი, თანადაფინანსება 10602 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ლ) ქ.**საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩა** №22 მრავალბინიანი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 202261 ლარი, თანადაფინანსება 10646 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

მ) ქ.**საგარეჯოში იმედის ქუჩა** №25 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და სადარბაზოების რეაბილიტაცია - 162133 ლარი, თანადაფინანსება 8534 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ნ)ქ.**საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩა** №10 მრავალბინიანი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია - 190726 ლარი, თანადაფინანსება 10039 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში;

ო) ქ. **საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი** №10ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია - 282097 ლარი, თანადაფინანსება 14848 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში (მრავალწლიანი ხელშეკრულება, თანადაფინანსება სჭირდება 64848,44 ლარი, ნაცვლად 14848 ლარისა);



***თანადაფინანსება*** 2025წ დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 210976 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე დაემატება 17900 ლარი.

***სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამას*** დაემატა 425025 ლარი, მოხდება ***ქ.საგარეჯოში ცხვედაძის ქუჩაზე*** სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, თანადაფინანსება 22370 ლარი საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე დაემატება ბიუჯეტში;

***მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,განვითარება*** ქვეპროგრამას დაემატა 68126 ლარი, მრავალწლიანი ხელშეკრულება, თანადაფინანსების დამატება არ სჭირდება, რადგან 84179 ლარი გათვალისწინებული არის დამტკიცებულ ბიუჯეტში;

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარი გადასახდელებში აისახება „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" ***განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.***

მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 801034,41 ლარით; გასული წლის დეკემბრის თვის მომსახურების შესაბამისად 102176,79 ლარი, სულ 903211,2 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილების „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური სამსახურის დაფინანსება განისაზღვრა 292200 ლარით,*** წინა წლის ნაშთის გამოკლებით 287607,19 ლარით, ბიუჯეტის მიმდინარე ცვლილებით შემოსავლები გაიზრდება16207,19 ლარით, გადასახდელები 20800 ლარით (წინა წლის ნაშთი 4592.81ლარი).

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებით ***„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე"*** მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 220000 ლარი, გადასადელებში აისახება ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში;

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 07 თებერვლის №239 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტს ***დამატებით გამოეყო 1219000 ლარი***, კერძოდ:

***სოფელ იორმუღანლოში შესასვლელი ხიდის რეკონსტრუქციის სამუშაოების დასასრულებლად (519163,03 ლარი), ქ.საგარეჯოში სტიქიის შედეგად დაზიანებული ვ.ჩერქეზიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები (100462,08 ლარი) და სოფელ პატარა ჩაილურში ე.წ ჩიხლაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დასასრულებლად (599374,89 ლარი).***



2024 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი (წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები) შეადგენს 10421742,13 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 1655104,6 ლარს, მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი შეადგენს 18092,81 ლარს. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 8 748544,72 ლარს. მათ შორის 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბიუჯეტში მიღებულია 3036092,8 ლარით მეტი შემოსულობები 2024 წლის შემოსულობების გეგმასთან შედარებით.

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) უნდა დაფინანსდეს: 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები და 2024-2025წ მრავალწლიანი პროექტები სულ 1956991 ლარი:***

***ნაშთის გამოყენება:***

1) მუნიციპალიტეტის საკრებულო - 18240 ლარი, კერძოდ, დამატება საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობის გაზრდის გამო (საკრებულოს დადგენილება№2 31.01.2025წ);

2) მუნიციპალიტეტის მერია- 61000 ლარი: კერძოდ, საოფისე ავეჯის შესყიდვა - 8000 ლარი, კომპიუტერული ტექნიკის (10 ცალი პრინტერი,12 ცალი ლეპტოპი და 11 ცალი სამაგიდო კომპიუტერი) შესყიდვა 53000 ლარი;

3) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების სუბსიდია - 316200 ლარის დამატება სახელფასო განაკვეთების გაზრდის გამო;

4) ნაშთის გამოყენება ინფრასტრუქტურის პროექტებზე 5926969 ლარი:

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**28 თებერვალი, 2025 წელი**

**გაგრძელება**

| დასახელება | ღირებულება |
|---|---|
| **ახალი გზების მშენებლობა** | **2108856** |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება | 150697 |
| მუნიც.მიერ განსახორც.50000-ზე მეტი ღირებულების ინფრ.ობ. სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა | 150000 |
| ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია | 1645367 |
| ქ.საგარეჯოში თბილისის ქუჩის ჩიხების რეაბილიტაცია | 162792 |
| **მუნიციპალიტეტის მერია** | **32207** |
| ქ.საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქ#15-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში სველი წერტილების რეაბილიტაცია | 32207 |
| **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** | **50000** |
| საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების რეაბილიტაცია | 50000 |
| **სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა** | **467865** |
| ს.უდაბნოში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია | 467865 |
| **ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** | **167900** |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება | 17900 |
| მუნიც.მიერ განსახორც.50000-ზე მეტი ღირებულების ინფრ.ობ. სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა | 150000 |
| **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **22370** |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება | 22370 |
| **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **1336000** |
| 2025წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება (200%) | 1336000 |
| **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,განვითარება** | **30000** |
| მუნიც.მიერ განსახორც.50000-ზე მეტი ღირებულების ინფრ.ობ. სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა | 30000 |
| **სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა** | **30000** |
| მუნიც.მიერ განსახორც.50000-ზე მეტი ღირებულების ინფრ.ობ. სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა | 30000 |
| **სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია** | **1552489** |
| მუნიც.მიერ განსახორც.50000-ზე მეტი ღირებულების ინფრ.ობ. სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა | 40000 |
| ს.ლამბალოში სპორტული დარბაზის მშენებლობა | 1512489 |
| **კულტურის ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია** | **129282** |
| ქ.საგარეჯოში კულტურის სახლის შენობაში საპირფარეშოების რეაბილიტაცია | 52281 |
| ქ.საგარეჯოში ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია | 77001 |
| **სულ** | **5926969** |

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 8279400 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი -18092,81 ლარი, სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 1655104,6 ლარი.

***დღის წესრიგის მეორე საკითხის*** „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №66 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოადგინა ამავე კომისიის თავმჯდომარემ **ვალერი ხუნაშვილმა.**

დღის წესრიგის საკითხის განხილვის შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ვალერიანი ხუნაშვილი - თავმჯდომარე; ლევან როსტიაშვილი - წევრი; ალექსი გილაშვილი - წევრი; გივი ბედიაშვილი - წევრი; ელენე სამხთუაშვილი - წევრი; ეთბარ ილიასოვი - წევრი; ნიკა ნაცვლიშვილი - წევრი; გელა კონიაშვილი - წევრი; ნიკა მემარნიშვილი - წევრი; ნინო ბუზიაშვილი - წევრი; დავით დიღმელაშვილი - წევრი; გარსევან ბუხნიკაშვილი - წევრი. “

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის ირაკლი რუაძის არჩევის შესახებ“ წარმოადგინა ამავე ფრაქციის თავმჯდომარემ **ივანე ბექიაშვილმა.** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილედ **ირაკლი რუაძე** აირჩია.

***დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე*** „საქართველოს 2025-2026 წლების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ბექა ფეიქრიშვილმა.***

| **პროექტის დასახელება** | ***პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) (ლარი)*** | ***მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)*** |
|---|---|---|
| 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში ამბარდნიშვილების უბნის რეაბილიტაციის სამუშაოები | 640,329.54 | 608,313.06 |
| 2 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები(ღერძი 1) | 335,336.58 | 318,569.75 |
| 3 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები(ღერძი 2) | 183,104.08 | 173,948.88 |
| 4 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულში სასაფლაოს უბნის სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები | 107,750.00 | 102,362.50 |
| 5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურისა და სოფელ კაკაბეთის გამყოფი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები | 266,068.75 | 252,765.31 |
| 6 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში მე-4 ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაციის სამუშაოები | 360,112.52 | 342,106.89 |
| 7 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში მე-8 ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები | 125,120.17 | 118,864.16 |
| 8 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ შიბლიანში მე-2 ქუჩის რეაბილიტაცია | 436,737.43 | 414,900.56 |
| 9 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანში მე-4 ქუჩის და მე-4 ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია | 229,709.88 | 218,224.39 |
| 10 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში მე-8 ქუჩის რეაბილიტაცია | 1,229,429.69 | 1,167,958.21 |
| 11 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოში მე-3 ქუჩის რეაბილიტაცია | 384,702.38 | 365,467.26 |
| 12 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში მე-15 ქუჩის და მე-15 ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია | 1,089,501.29 | 1,035,026.23 |
| 13 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ბადიაურში მე-7 ქუჩის და მე-5 ქუჩის რეაბილიტაცია | 752,690.36 | 715,055.84 |
| 14 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ბადიაურში მე-10 ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია | 93,831.45 | 564,139.88 |
| 15 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ თოხლიაურში მე-10, მე-12 და მე-10 ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია | 2,087,295.60 | 1,982,930.8216 |
| 16 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ თოხლიაურში მე-11 ქუჩის IV შესახვევის რეაბილიტაცია | 174,510.77 | 165,785.23 |
| 17 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ დიდ ჩაილურში მე-2 ქუჩაზე არხის მოწყობა | 187,249.43 | 177,886.96 |
| 18 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქ. საგარეჯოში ერეკლე II-ს ქუჩაზე ჩიხის რეაბილიტაცია | 21,303.83 | 20,238.64 |
| 19 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქ. საგარეჯოში დიმიტრი არაყიშვილის ქუჩაზე ჩიხების რეაბილიტაცია | 84,387.70 | 80,168.32 |
| 20 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გია ჯაფარიძის I შესახვევის რეაბილიტაცია | 182,746.52 | 173,609.19 |
| 21 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ წყაროსთავში 31-ე ქუჩის I შესახვევში არხის მოწყობა | 47,955.78 | 45,557.99 |

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**28 თებერვალი, 2025 წელი**

**დასასრული**

| პროექტის დასახელება | პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) (ლარი) | მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 22 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში მე-17 ქუჩის რეაბილიტაცია | 83,130.90 | 78,974.36 |
| 23 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ უჯარმაში 1-ლი ქუჩის V შესახვევში არხის მოწყობა | 398,476.73 | 378,552.89 |
| 24 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ უჯარმაში მე-11 ქუჩის I ჩიხში არხის მოწყობა | 43,556.88 | 41,379.04 |
| 25 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ პატარძეულში მე-13, მე-13 ქუჩის I ჩიხის, მე-13 ქუჩის II ჩიხის, მე-13 ქუჩის III ჩიხის, მე-16 და მე-18 ქუჩის რეაბილიტაცია | 2,083,761.32 | 1,979,573.25 |
| 26 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ პატარძეულში მე-40, მე-40 ქუჩის I ჩიხის, მე-40 ქუჩის II ჩიხის და მე-47 ქუჩის რეაბილიტაცია | 742,174.11 | 705,065.40 |
| 27 ქალაქ საგარეჯოში ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია | 213,927.98 | 203,231.58 |
| 28 ქალაქ საგარეჯოში ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩის ი შესახვევის (სასაფლაოს გზა) რეაბილიტაცია | 177,737.59 | 168,850.71 |
| 29 ქალაქ საგარეჯოში ვასილ კიკვიძეს ქუჩის რეაბილიტაცია | 196,886.97 | 187,042.62 |
| 30 ქალაქ საგარეჯოში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია | 1,645,366.86 | 1,563,098.52 |
| 31 ქალაქ საგარეჯოში იმედის ქუჩის რეაბილიტაცია | 1,359,354.14 | 1,291,386.43 |
| 32 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ყანდაურაში მე-8 და მე-7 ქუჩების რეაბილიტაცია | 455,960.36 | 433,162.34 |
| 33 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ყანდაურაში მე-1 ქუჩის III და IV შესახვევების და მე-5 ქუჩის რეაბილიტაცია | 233,400.27 | 221,730.26 |
| 34 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ყანდაურაში მე-3 ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია | 61,770.89 | 58,682.35 |
| 35 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ იორმუღანლოში მე-15 ქუჩის რეაბილიტაცია | 898,888.62 | 853,944.19 |
| 36 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია | 468,113.60 | 444,707.92 |
| 37 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა | 330,054.90 | 313,552.16 |
| 38 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავში სტადიონის რეაბილიტაცია | 134,168.20 | 127,459.79 |
| 39 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში სკვერის მოწყობა (ტიპიური პროექტი) | 354519 | 336793.05 |

სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები.

სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც.



## ინფრასტრუქტურა-2025

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფარგლებში, მოსახლეობის საჭიროებებისა და გზებზე პრობლემების მოგვარების მიზნით ახალი, მრავალფუნქციური ტექნიკის შეძენა მოხდა, რომელიც ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად შპს „საგარეჯოს" გადაეცა.

აღნიშნული ტექნიკა, როგორც ქალაქში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში, რთული რელიეფის მქონე მაღალმთიან სოფლებში - გზების გაწმენდა - მორეცხვისთვის არის განსაზღვრული.





## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს

## საბავშვო თეატრალური ფესტივალისთვის რეგისტრაციას

**ფესტივალის** მიზანი: თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია; ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების წარმოჩენა და წახალისება. ფესტივალის პირობები: ფესტივალი ტარდება ქართულ ენაზე; თეატრალურ ნომრებს შეაფასებს ჟიური; ფესტივალის ჟიური გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობის მიხედვით, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ჟიურის თავმჯდომარე; სპექტაკლებისთვის შერჩეული თემა თავისუფალია; სპექტაკლის ხანგრძლივობა 20 – 30 წუთი;

ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს (ასაკი შეუზღუდავია); სკოლას შეუძლია მხოლოდ ერთი წარმოდგენის გამოტანა; დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაციული, სხვისი უფლებების შემლახავი სცენები, ასეთი სპექტაკლი ფესტივალზე არ დაიშვება. ფესტივალის ნომინაციები: საუკეთესო სპექტაკლი - გრან-პრი - 2000 ლარი; საუკეთესო რეჟისორი - 1000 ლარი;

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - 800 ლარ; საუკეთესო მსახიობი ქალი - 800 ლარი;

საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი მამაკაცი - 600 ლარი; საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი ქალი - 600 ლარი;

საუკეთესო მხატვრობა - 800 ლარი;

საუკეთესო სცენარი - 800 ლარი;

საუკეთესო მუსიკალური გაფორმება - 800 ლარი. ზემოაღნიშნული ყველა თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით; ფესტივალის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებები: ფესტივალის საზეიმო გახსნა და დახურვა; სპექტაკლების ჩვენება; მასტერკლასები;

***ფესტივალში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ ინფორმაცია 2025 წლის 1 აპრილამდე,***

***ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე კულტურა.საგარეჯო გმაილ.ცომ ფესტივალი ჩატარდება საგარეჯოს კულტურის სახლის დიდ დარბაზში, ივნისში (ჩატარების თარიღთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოგვიანებით გაცნობებთ). საკონტაქტო პირი: ნინო ქაიხოსროშვილი - 599 85 10 91.***

გარეჯის მაცნე





# რა ქნას, საკუთარ თავზე საუბარი თუ არ შეუძლია... ... და სათქმელს სხვები ამბობენ...



**თამარ** გოცირიძეს, საგარეჯოს მომავალი თაობის ამაგდარ აღმზრდელს, საგაზეთო წერილის მოსამზადებლად ინტერვიუსთვის გასაცნობად წინასწარ კითხვარი გადავუგზავნე. კითხვარი, რომელშიც საკუთარი ცხოვრების გზაზე უნდა ესაუბრა, მაგრამ... ინტერვიუ ვის „აცალა", რედაქციაში „საკუთარი ნებით" დაწერილი საგაზეთო წერილი გვაახლა, რომელსაც დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაგაცნობთ...

არ ისურვა საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორც დედაზე, ქალზე, პედაგოგზე, ერთ დროს საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც სახელგანთქმულ, თავნასახელებ საბავშვო ბაღის გამგეზე:

**დედა** – შვილები: ნინო და ნიკო – ექიმები, ნინო თბილისში, ნიკო გერმანიის ერთ-ერთი ცნობილი კლინიკის ცნობილი ოტოლარინგოლოგი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ამ სპეციალობით ექიმთა დახელოვნებისა და უამრავი პაციენტის გამოჯანმრთელებაში.

**საზოგადო მოღვაწე** – საგარეჯოს თეატრალური ცხოვრების ულამაზესი წლების ულამაზესი შტრიხების შემმატებელი, რაიონის საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი, საგარეჯოში განათლების პირველი გზამკვლევის, სკოლისა და თეატრის დამაარსებლის –- ალექსანდრე ცხვედაძის ღვაწლის წარმომჩენი და დამფასებელი.

**პედაგოგი და საბავშვო ბაღის გამგე** – ქალაქ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში დღესაც მკაფიოდ და სილამაზით ატყვია მისი ნახელავი ეზოსაც და შენობასაც, ერთ მუშტად შეკრული, მომავალი თაობების სწორად აღზრდა-განვითარებისთვის მჭიდროდ შეკავშირებული, მიზანმიმართული საქმიანობისთვის მოტივირებული კოლექტივი.

სწორედ ქ-ნი თამარის მიერ განვლილ შრომით საქმიანობაზე გვესაუბრება ის ჯილდოები, რომლებიც მართლაც დამსახურებლად მიუძღვნა ჩვენმა ქვეყანამ თუ რაიონის ხელმძღვანელობამ:

– ღირსების ორდენი – 2004 წელი.

– გარეჯის საპატიო მოქალაქე – 2019 წ.

– მადლობა საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ საგარეჯოს სახალხო თეატრის 125 წლისთავთან დაკავშირებით – თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციასა და კულტურულ-შემცნებით საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის – 2003წ.

– მადლობა გაწეული ღვაწლისთვის – 2017 წ.

თუმცა, ქალბატონ თამარ გოცირიძის დახასიათება და მის მიერ განვლილ გზას ქალბატონ თამარის კოლეგა – პოეტ მარინა შანიძის ლექსიც გვიამბობს:

*არც განძთა სიუხვე, არცა ოქრო-ვერცხლი,*
*არცა ფუფუნება, არცა საციქველი,*
*მხოლოდ სათნოება, მხოლოდ სიკეთე და*
*სულის სილამაზე არის საკვირველი.*
*ღმერთმა, ცადმყოფელმა ინება სასწაული,*
*არც თავის შეკავება, არცა საწყაული,*
*ბრძანა ღირსებათა უხვი ჰარმონია,*
*სხვაც იყოს ასეთი, არა, არ მგონია.*
*ნუშის ყვავილივით სათნო და საამო.*
*სულისთვის ნუგეში, გულისთვის მალამო,*
*მოძმის სიკეთისთვის ღამითაც მღვიძარი,*
*სხვათა გასაჭირს და ტკივილს ნაზიარი.*
*უხვი თავთავივით მუდამ თავდახრილი,*
*ვარამდათმენილი, თითქოს ჯავრაყრილი,*
*სასტიკი განმსჯელი თავისი შეცდომების.*
*არა გამკითხავი სხვათა შეცოდების,*
*უფლის შემწეობით და უხვი წყალობით,*
*ქალი ღირსეული თავისი ქალობით,*
*რადგან განგებისგან იშვა სათაყვანოდ*
*ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ არ ვეთაყვანოთ!*

* * *

**დიახ!** *ისევ მოვიდა იის სურნელით გაჟღენთილი, სინათლითა და მზით სავსე გაზაფხული. მოვიდა, რათა გულმკერდი გაუთბოს სიცივისგან დამზრალ დედამიწას, თავისი მაგიურ სხივთა ძალით აღმოაცენოს და განავითაროს მის გულში უხვად გაბნეული სიკეთის მარცვლები მშვიდობის, ერის სიძლიერის და მეგობრობის საწინდარად. გაზაფხულის პირველ ნაბიჯთა სუნთქვა შეიგრძნობა ყველგად და ყველაფერში. ბუნება იღიძებს, სიცოცხლე თავიდან იწყება. საოცარი მსგავსებაა გაზაფხულსა და სკოლამდელ დაწესებულებებს შორის, რამეთუ სწორედ სკოლამდელ დაწესებულებებში ძალუმად ფეთქავს „გული" ხვალინდელი საქართველოსი – პატარა გოგო-ბიჭების სახით.*

*მოგეხსენებათ, რომ ბედნიერი ბავშვობა მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება ადამიანს, იგი განუმეორებელია თავისი სილამაზით, სამყაროს სინამდვილის თავისებური აღქმით და ბავშვური მსოფლმხედველობით. სწორედ ამ ბედნიერი ბავშვობის შესაქმნელად იღვწის სკოლამდელი აღზრდის მთელი სისტემა, მათ შორის საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის მთელი კოლექტივი. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია – უზრუნველყოს აღსაზრდელთათვის სრუ-*



*ლყოფილი, ხალისიანი, აქტიური, ემოციურად მდიდარი ბავშვობა.*

*საბავშვო ბაღების პედაგოგიურ კოლექტივს უნდა ახსოვდეს წინაპართა სიბრძნე – თუ შენი საქმეები გათვალისწინებულია ერთი წლისათვის, სთესე მარცვალი, თუ ათეული წლისათვის – დარგე ხეები, ხოლო თუ საუკუნისთვის – აღზარდე ადამიანი.*

*აღზარდო ადამიანი, მისცე თაობა – ქვეყანას ისეთი, როგორიც მის ხვალინდელ დღეს სჭირდება – შეუძლებელია, თუ ბავშვი შენი ცხოვრების აზრი და სილამაზე არ არის.*

*შემიძლია აღვნიშნო, რომ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის თანამშრომელთა მოტივი ყოველდღიური მოქმედებისა პატარებზე ზრუნვით არის განპირობებული – ისინი თავიანთი საქმიანობით არა მარტო თანამედროვეობის, არამედ მომავლის საფუძვლის შემქმნელებიც არიან, რადგანაც სწორედ სკოლამდელ ასაკში ეყრება საფუძველი ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას.*

*დიდი პითაგორა ბრძანებდა: „ჰქმენ დიადი ისე, ნუ შეპირდები დიადს". ეს გამონათქვამი კარგად ესადაგება სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე ყველა თანამშრომელს: , საბავშვო ბაღის გამგეს, მეთოდისტს, ლოგოპედებს, ექთანს, აღმზრდელ-მასწავლებლებს, მუსიკის მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, აღმზრდელის თანაშემწეებს, მზარეულებს, ტექნიკურ მუშაკებს – რამეთუ, ყოველ დღე, 8 საათის განმავლობაში ყველა თანამშრომელი ღირსეულად, ჩუმად, უხმაუროდ, უპრეტენზიოდ ემსახურება ამ ქვეყანაზე ყველაზე ამაღლებულ და დიად საქმეს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია – სწორედ ამ სიჩუმეში ხმაურობს მათ მიერ ნაკეთები საქმის სიდიადე. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მინდა მოგეფეროთ, იმ პატარა, თქვენთვის უკვე დაუთვლელი, უსაყვარლესი აღსაზრდელების სახელით, რომელიც თქვენი ცხოვრების აზრი და სილამაზე გამხდარა.*

*ჩემო კოლეგებო – თამამად შემიძლია გიწოდოთ ღვაწლმოსილნი და ამაგდარნი.*

*ვისურვებთ დღეგრძელობას, ჯანის სიმთელეს, სულის სიმხნევეს, ნიჭიერ აღსაზრდელთა სიმრავლეს.*

*გილოცავთ დედის დღეს და 8 მარტს!*

*თქვენი* თამარ გოცირიძე

# თითქმის ნახევარი საუკუნე გაილია...



**თავად** დედისერთა იყო, დედ-მამის ნებიერა, მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ მის გარშემო მყოფი ადამიანები მისთვის უცხოები და არასისხლისმიერნი იყვნენ. საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში განაგრძო – სკოლამდელი აღზრდის პედაგოგის სპეციალობაზე.

1976 წლიდან კი საგარეჯოს III საბავშვო ბაღში დაიწყო მუშაობა, სადაც საუკეთესოთა შორის საუკეთესო პედაგოგები და პერსონალი დახვდა. საბავშვო ბაღი საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ბალანსზე იყო და მეურნეობის დირექციიდან არ ეკლდა ყურადღება. აქ მზრუნველი გამგე ქალბატონი ქეთევან დოლენჯაშვილი ახალგაზრდა სპეციალისტებს დიდი სიყვარულით ხვდებოდა...

– პირველად, როცა შენობა დავინახე, რომელიც თითქმის ეულად იდგა ცარიელ ტერიტორიაზე, შევშფოთდი, მაგრამ შემდეგ, უამრავი შენობა-ნაგებობა შემოემატა ირგვლივ, – მეუბნება 49 წლიანი სტაჟის მქონე პედაგოგი.

და აი, დღესაც ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგია ქ-ნი **მერი კერატიშვილი-ნუკრაძე.** ამ საბავშვო ბაღში ეზიარა პედაგოგობის იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას მოეთხოვება თითოეული აღსაზრდელის მიმართ. ვთვალეთ და ვერც დავთვალეთ, რამდენმა თაობამ გაიარა მის თვალწინ, რამდენს შეაყვარა ქართული ენა, ასწავლა მათემატიკის ანა-ბანა, ლექსები შეაჩვია საზოგადოებას, გაათამამა, გზადალოცვილი გაუშვა სკოლისკენ.

თავისი ოთხი შვილიც აქ გაზარდა: ვალერი და სამი ჩუმი ქალიშვილი – ნანა, ნინო, ნატალია... დღეს ნინო დიასახლისია, ნატო №3 საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწეა, ნანა – ქალაქ საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღის ექთანია... მეუღლე – მიხეილ ნუკრაძე, ყოფილი ქორეოგრაფი და საგარეჯოს ქორეოგრაფიული ანსამბლის „გარეჯის" მოცეკვავე.

– დღეს ახლიდან რომ მოგიწიოს პროფესიის არჩევა, რას აირჩევდი? ვეკითხები საუბრისას.

***– ისევ და ისევ ჩემს პროფესიას. რატომ?! ალბათ იმიტომ, რომ ბავშვებთან მუშაობა სხვა სიკეთეა ადამიანისთვის. ისინი გახალისებდნენ, გარედან შემოყოლილ პრობლემებს გავიწყებენ, გაცისკროვნებული ცნობისმოყვარე თვალები შემოგყურებენ და შენგან ალერსსაც ელიან და ძალიან, ძალიან ბევრ საინტერესო ამბებს. მეორეც, აქ ისეთი კოლექტივია – სულ სიახლის ძიებაში, აღსაზრდელთა განვითარებისთვის ახალ-ახალი ინოვაციების, მეთოდების დანერგვას ცდილობს ჩვენი მენეჯერი ია კვირიაშვილია, რომელიც ხალისიანი, საინტერესო დღის რეჟიმს ადგენს ჩვენი აღსაზრდელებისთვის, ჩვენთან აღსაზრდელი სიხარულით მოდის – უამრავ აქტივობებში ბავშვების მშობლებიც აქტიურად არიან ჩაბმულები. აქ, ჩვენთან ყოველი დღე სახალისოა. ამიტომაც ისევ აღმზრდელის პროფესიას ავირჩევდი. დღეს მინდა, თქვენი გაზეთიდან მივულოცო ყველა ქალს, დედას, ბებიას, აღმზრდელს, პედაგოგს გაზაფხულის შემობრძანება და ვუსურვო მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება, ჯანმრთელობა და სიკეთე.***

***მე კვლავ პატარების სამსახურში ვრჩები მთელი ჩემი შესაძლებლობებით!***

*პოეტი*

**დალი ზალიაშვილი:**

# „ბრძოლა არასოდეს არის გვიან!"



– თბილ, მოსიყვარულო, მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. წარმატებით დავამთავრე საგარეჯოს IV საჯარო სკოლა. ხუთი წლის ასაკში წერა-კითხვა ვიცოდი, ცაცია ვიყავი – მეხერხებოდა მარცხენა ხელით წერა, მაგრამ გადამაჩვიეს. 6-7 წლის ასაკში უცნაური აზრები მომდიოდა თავში, გადამქონდა ქაღალდზე... 13-15 წლის ასაკში მაშინდელი რაიონული გაზეთ „ივრის განთიადის" შტატგარეშე კორესპონდენტი ვიყავი. სკოლაში სწავლის პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობით გამოვირჩეოდი – მონაწილეობას ვიღებდი რაიონულ ღონისძიებებში, ხშირად მიხდებოდა საგარეჯოს კულტურის სახლის სცენაზე დგომა და ლექსების კითხვა.

მოსწავლეობის ასაკიდან გამომყვა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების, მიხეილ ჯავახიშვილის რომანების ასგზის კითხვის სიყვარული.

ჩემი ლექსების პირველი მკითხველი დედაჩემი იყო, ის იყო შემფასებელიც და შენიშვნის მომცემიც. ნელ-ნელა „გავიზარდე", დავხვეწე ჩემი ლექსები და აი, 2017 წელს ჩემი ლექსების პირველი კრებული „ლექსები" ჩემი შემოქმედების ერთგვარ სტიმულად იქცა. მას 2020 წელს ლექსების წიგნი „მადლობელი ვარ" მოჰყვა, 2021 წელს – „იგავები, ნოველები და ლექსები"

დასასრული მე-6 გვერდზე

# გაძლების გმირები

***„შვილის თვალებში მზე თუ იცინის, დედისთვის მუდამ გაზაფხულია“...***

## „მე დაგიბრუნდით!“



**მეთერთმეტე** წელი მალე, სექტემბერში გახდება, ავადსახსენებელ იმ 28 სექტემბერს, როცა ავღანეთში ჯარმოვლილი, სამაჩაბლოს დასაცავად პირდაპირ ავღანეთიდან ჩამოსული, ხუთი წლის ვაჟის მამა გონებადაბინდულ, ერთ დროს მეგობრად წოდებულ საგარეჯოელს წინ გადაეღობა მამის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ თავში ღრმა ჭრილობა მიიღო...

საგარეჯოელი **დიტო კევლიშვილი**, საგარეჯოელ ძმასთან ერთად „ავღანეთის ჯარში“ კონტრაქტით მსახურობდა, სამშობლოს დაძახილზე ბიჭები, სხვა თანამებრძოლებთან ერთად სამაჩაბლოში 2008 წლის აგვისტოს პირდაპირ ბრძოლის წინა ხაზზე ჩამოვიდნენ, მხოლოდ ბრძოლის ცხელი ბილიკებიდან დაღუპული ჯარისკაცების გვამებიღა იყო დარჩენილი, სამაჩაბლოს უკვე რუსის ჯარი აკონტროლებდა...

არასდროს შეუშინებია ძმები ფიზიკურ შრომას, დედ-მამას ნათელა ხიბლაშვილსა და გივი კევლიშვილს მუდამ გვერდით ედგნენ.

შემდეგ ოჯახიც შექმნა, ვაჟიც შეეძინა და უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო, მეტად მოემატა საზრუნავ-საფიქრალი... მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მძიმე ტრავმის შემდეგ დიტო საწოლსაა მიჯაჭვული, მის სასთუმალთან გაატარა ბავშვობის 10 წელი მისმა ვაჟიშვილმა ლუკამ. 10 წელზე მეტია მამის გაძნელებულ სუნთქვას ისმენს, ამ 10 წელში ამ პატარა ბიჭმა შეუძლებელი შეძლო, სულაც იმიტომ რომ იცის – ნათელა ბებოს და დედიკოს დიდი იმედი, სუნთქვა და ჟანგბადია. სცენაზეც გამოდის, საოცარი ხმის პატრონია, ერთხანს თამრიკო ჭოხონელიძესთანაც ეუფლებოდა ქართული სიმღერების შესწავლის ხელოვნებას... დიდი კაცია უკვე, სწორედ ის აცოცხლებს ნათელა ბებოს , სწორედ ეს აძლევს სტიმულს – ყოველ წუთას აკონტროლოს შვილის მდგომარეობა – დროზე მიაშველოს წამალი, დროზე შეასრულოს ექიმის მითითება, ყურადღება არ მოადუნოს – იქნებ ოდესმე, თუნდაც აი, ამ წუთას დაუბრუნდეს დიტოს ცნობიერება. დაუბრუნდეს თავის შვილს და მეუღლეს, სიყვარულით შერთულ – მარი ბოლქვაძეს, რომელიც აჭარაში, მშობლიურ მხარეშიც ვერ „ბედავს“ წასვლას, ვინ იცის, როდის მოიკითხოს დიტომ. ასეა მისი ძმაც, ერთად ჯარგამოვლილი თენგიზი დღეს მძღოლად ბაქოჯეიჰანის ნავთობსადენზე სახანძრო-სამაშველო სამსახურში მძღოლად მორიგეობისას. თავადაც ორი შვილი ჰყავს, თავადაც ქირით ცხოვრობს საგარეჯოში, მაგრამ გონება ყოველ დღე დიტოს დასტრიალებს.

დიტოც და მისი ძმაც ორივე ომის ვეტერანები არიან. დიტოს პენსია და ვეტერანის პენსია – 22 ლარი აქვს (ეს პენსია არ გაიზარდა) თუმცა დღეს დიტოს ყოველდღიურად საჭირო მედიკამენტები და მწოლარე ავადმყოფის მოსავლელი მასალა სჭირდება. დედა რისი დედაა, თუ რამეს მოაკლებს, თავისი ნაჯაფი ხელებით დიტოს და ლუკას, მაგრამ...

ყოველ დღე ელოდებიან გაძლების გმირი ქალები – ნათელა ხიბლაშვილი და მარი ბოლქვაძე დიტოს ღრმად ამოსუნთქვას ამოყოლებულ სიტყვებს: „მე დაგიბრუნდით!“

## როცა რაიონის ხელმძღვანელისგან ასეთი თანადგომაა

**უფროსი** ქალიშვილი ეკა უკვე 12 წლის იყო. რაღაცნაირი სიხარულის მოლოდინით ელოდა დედმამიშვილის დაბადებას, ორნი იქნებოდნენ, ,უფროსი უმცროსზე იზრუნებდა, სახლს პატარის ტირილი და ღუღუნი გამოაცოცხლებდა და აი, 2005 წლის 28 ივნისს პატარა დაიკო – ნინი მოევლინა ამ ქვეყანას. გაიხარა ეკამ, მისი გაზრდა-აღზრდის გეგმები 9 თვის განმავლობაში უკვე მომზადებული ჰქონდა...



გავიდა დრო და პატარა ჩაილურელ ასმათ ათუაშვილისა და იაგო როსტიაშვილის მეორე გოგონას ექიმმა დამთრგუნველი დიაგნოზი დაუსვა – სპინალური ამიოტროფია ვენენგ ჰოფმანის დაავადებით და თანაც საშინელი განაჩენით – ასეთი ბავშვები დიდხანს ვერ ცოცხლობენო...

ძუ ვეფხვს დაემსგავსა ასმათი შვილის გამოსაჯანმრთლებელ-გადასარჩენად. საგარეჯოს ბავშვთა საავადმყოფო, თბილისის საუკეთესო კლინიკები იყო მისთვის ნავსაყუდელი – გულაფორიაქებული, მის სუნთქვას, მაჯისცემას უგდებდა ყურს და იმდენად კარგად შეისწავლა შვილის დაავადება, მკურნალობის ხერხები, რომ ექიმებსაც ანცვიფრებდა თავისი ცოდნით და ზოგჯერ ექთნის მოვალეობასაც ასრულებდა შვილის სასთუმალთან... სკოლაშიც დაჰყავდა ნინი, თანატოლებთან ურთიერთობას სიხარული მოჰქონდა ნინისთვის, დედამ პატარა, უმწეო წიწილებიც მიაბარა ეტლში მჯდომ გოგონას და სახალისო გახადა მისთვის ზაფხულის დღეები...

წლები გავიდა ერთი კლინიკიდან მეორეში გადასვლა-მკურნალობაში, „რკინის ქალამნები ჩაიცვა“ ლანდადქცეულმა დედამ, ეგებ რაიმე შველებოდა, რაიმეთი შეემსუბუქებინა შვილისთვის ყოველდღიური ყოფა. მაინც გაიმარჯვა დედის თავდაუზოგავმა ბრძოლამ, ბრძოლამ შვილის სიცოცხლის გადასარჩენად და წელს ნინი 28 ივნისს 20 წლის სრულდება.

მხოლოდ ასმათმა იცის, რას ნიშნავს შვილის უსაშველოდ ნაღვლიან თვალებში ჩახედვა, რას ნიშნავს, ოთხი წლის განმავლობაში აპარატზე, ტრახეოსტომიით – სიცოცხლესთან ბოლო გზით დამაკავშირებელი საშუალების მნიშვნელობა. დიახ, ოთხი წელია ნინი სუნთქვით მართვაზეა გადაყვანილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

2023 წელს ციციშვილის სახელობის კლინიკის თანამშრომლები გაოცებისგან ხმას ვერ იღებდნენ – მათი მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტის – ნინი როსტიაშვილის სანახავად და დაბადების დღის მოსალოცად პირველად იხილეს რაიონის ხელმძღვანელი ავადმყოფთან მოსული...

***– დიახ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ავთანდილ გულიკაშვილი ჩემი ნინის სანახავად და დაბადების დღის მოსალოცად თბილისში ციციშვილის სახელობის კლინიკაში ნინის ეწვია და ვერ წარმოიდგენთ, ერთი ნინის თვალები დაგენახათ, ეს მხოლოდ გაოცების, სიხარულის მზერა არ იყო, ეს იყო, – იმედის, რწმენის, სიყვარულით სავსე გამოხედვა. ბატონმა ავთანდილმა ნინისთვის გადასაადგილებლად და საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად პატარა ჩაილურში, ჩვენს ქუჩაზე ასფალტბეტონიანი გზა გააკეთებინა – ეტლით მოსიარულე ნინი ადვილად გადაადგილებულიყო და ახლა, ამჟამად ნინისთვის სახლს აშენებინებს პატარა ჩაილურში, ჩვენსავე ეზოში – ერთ ოთახს ყველა თავისი სათავსოთი – ნინის ასე სჭირდებაო. ეს უდიდესი საჩუქარია ნინისთვის და ჩემი ოჯახისთვის. მადლობის თქმასაც ველარ ვახერხებ მოზღვავებული ემოციების გამო. გუშინ (საუბარი 7 მარტსაა ჩაწერილი) ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი გიორგი ერბოწონაშვილი ტელეფონზე მესაუბრა: – ვიცი, ძალიან გჭირდებათ დახმარება და ნინის სამედიცინო მომსახურებისათვის გარკვეული თანხა ჩაგირიცხეთ კლინიკის ანგარიშზეო.***

***ხოდა, ბოლო წლებში რაიონის ხელმძღვანელებიდან ასეთი ყურადღება, ასეთი თანადგომა ძალას მმატებს – გავუმკლავდე იმ განსაცდელს, რაც უფალმა მარგუნა, მხნედ შევხვდე ნინის გამოჯანმრთელებას... უფალმა დალოცოს ყველა, ვინც დახმარების ხელს გამოგვიწვდის, ვინც გაგვიადვილებს ამ დაუნდობელი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას, ვინც გამაძლიერებს, როგორც ნინის დედას! –*** მეუბნება ნინის დედა – მართლაც გაძლების გმირი ასმათი ათუაშვილი.

*პოეტი*

## დალი ზალიაშვილი:

## „ბრძოლა არასოდეს არის გვიან!“

**დასასრული**

გამოიცა, 2022 წელს გამოცემულმა წიგნმა „სიყვარულის ლექსებით“ დიდი წარმატება მომიტანა – ნომინირებული იყო „საბას“ კონკურსში, 2023 წელს გამოცემული წიგნი „სიცოცხლე ლექსებით“ ნომინირებულ იქნა „საბას“ კონკურსზე 2024 წელს. რომანში მოთხრობილია სამი ქალის, სამი მეგობრის, სამი დედის სრულიად განსხვავებული ცხოვრება“. რაც შეეხება 2024 წელს გამოცემულ წიგნს „ნოველები“, მასში შესულია 50-მდე ნოველა, რომლებშიც გაცოცხლებულია ჩემი საგარეჯო, ჩემი ბავშვობა, ცივ-კოდის მთები, „საძილე“ „ბებერი კლდე“, ივრისპირები, დავით გარეჯი. ჩემი თაობა ხომ ერთი სოფლის დიდ ოჯახში გავიზარდეთ, მაშინ მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული გვათბობდა.

ახლა, დღეს, ამ გადასახედიდან ვგრძნობ, რომ თუ ადამიანი მიზნად დაისახავს – რეალიზება გაუკეთოს თავის შესაძლებლობებს, ის აუცილებლად მიაღწევს მიზანს. არასოდეს დანებდეს სირთულეებს, ბრძოლა არასოდეს არაა გვიან, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, უფლის მიერ ნაჩუქარი სიცოცხლე ადამიანისთვის ძალიან ლამაზია და ეს სილამაზე მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა შეიგრძნოს. სიმართლე გითხრათ, მე 50 წლის ასაკიდან „სხვანაირი ცხოვრება დავიწყე, როცა ჩემი ნაფიქრნააზრევი წიგნის სახით ხელში პირველად დავიკავე. როგორ დამავიწყდეს 2023 წლის 21 თებერვალი – საქართველოს მწერალთა სახლში – სამი წიგნის: ლექსების, რომანის, ნოველების პრეზენტაცია. მიხარია, სულ ახლახანს, 21-ე საუკუნის პოეზიის წიგნში დაიბეჭდა ჩემი ლექსები, ასევე, წიგნ „გარეჯელებში“ შესულია ჩემი ლექსები.

როგორ უნდა დავემდურო ბედს, როცა ორჯერ, ორჯერვე 21 თებერვალს, ჩემს სათაყვანებელ საქართველოს მწერალთა სახლში, სადაც გენიოსები იდგნენ და ლექსებს კითხულობდნენ, დგახარ ახლა, თავდახრილი და საკუთარ თავს ეკითხები – ნუთუ შენ ხარ ეს?! დგახარ და ეს ცხადია. სწორედ ამისთვის მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასეთ დროს გვერდში გიდგანან და მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს – მეუღლეს – გიორგი სულიკაშვილს, ამერიკაში მცხოვრებ ჩემს ქალიშვილებს – ლიკას და იას და ჩემს ორ შვილიშვილს, რომლებიც დიდ სტიმულს, მოტივაციას მაძლევენ – უპირობოდ – უპირობოდ მიყვარდეს სიცოცხლე, პოეზია... სიმბოლურია ალბათ, ჩემს მიერ არჩეული პროფესიაც – მეან-გინეკოლოგი ვარ...

## „მოკლეს ილია, შემოალეწეს სამშობლოს ფრთები“

დაიბადა, ზეიმობდა ბუმბერაზი
ყვარლის მთები,
დაიბადა სამშობლოსი, მომავლის
ხსნის იმედები.
- სურდა ზეიმი თვისი ერის თავისუფლების,
მშობელი ქვეყნის, მისი ხალხის ბედნიერების.
ითხოვდა იგი უფლისგან დიდი ვედრებით,
მხოლოდ სიყვარულს მისი წმინდა ნამცნების.
შინ ბრუნდებოდა, არ ასვენებდა გზაში
ფიქრები,
რას მეტყვის ახალს, ანდაც ის მე
როს შევეყრებით.
კაცი ვერ ნახა გრძნობა ენდო, ანდაც ფიქრები,
იფერფლებოდა ყველა მისი დიდი მიზნები.
იქ წიწამურთან საზარელი გაისმის ხმები,
მოკლეს ილია, შემოალეწეს
სამშობლოს ფრთები.
ვაი, ბეჩავნი ვინც ჩახერგეს მომავლის გზები
და აღუმართავთ მოღალატეთ ცოდვის
ხელები.
იძინე მშვიდად, ჩვენო დიდო წმინდა ილია,
იმ გზას მივყვებით, სამშობლოსთვის შენ
რომ გივლია.

## ვუძღვნი ლევან თედიაშვილის ნათელ ხსოვნას..

სულ იცოცხლებ სანამ ქვეყნის
დაიწუროს მტევანი,
საქართველოს, საგარეჯოს საამაყო
ლ ე ვ ა ნ ი..
-დაილოცოს მშობელი, ვინაც შენ მოგავლინა
ვინც სამშობლოს სიყვარული გულში
ღრმად გაგიჩინა.
რჩეულთ ხვედრი ვაჟკაცს მკლავში რა
ძალამ მოგივლინა
სადაც წახველ დაეც ყველგან
გამარჯვების ყიჟინა
ბევრი სძლიე შენ რამდენი, ბეჭზე
დაგადებინა.
ვაჟკაცობა ქართველობა, არც რად
გაგაცვლევინა,
სიამაყე კაცობა შენ ყველაფერს გერჩივნა.
კვარცხლბეკს დგომის სიხარული
ბევრჯერ განგაცდევინა,
მაგრამ ვაი, საწუთრომ ცრემლი სისხლის
გადინა
შვილმა ქვეყნის დამცველმა მამის
მკლავს დაიძინა,
დათვთან მბრძოლმა ვერ შეძლი შვილი
გადაგერჩინა
ვერ შეძლი სიცოცხლე შენი გაგეცვლევინა.
რა უთხარი ნეტავ ბოლოს ტანჯვით
რომ დაიგმინა
მტრისთვის მისი სიკვდილი შენი
ხელით გეზღვივნა?!
ბოლო სუნთქვა ღიმილით მხოლოდ
შენ ჩაგიცინა
დედას ვერ დაუბრუნე ვინც
სიცოცხლეს ერჩივნა.
სულ იცოცხლებ სანამ ქვეყნის
დაიწუროს მტევანი
საქართველოს , საგარეჯოს
საამაყო ლ ე ვ ა ნ ი..

# „ᲰᲔᲘ, ᲕᲘᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲜᲓ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲓᲐᲜ?!“

## პატარა მოჭადრაკის დიდი მიზანი



***ამა წლის 15 იანვარს შვიდი წელი შეუსრულდა. პატარაა, არა?! თქვენ პატარა უძახეთ და ბევრმა ჩვენგანმა იცის მასავით ჭადრაკის – ბრძენთა თამაშის საიდუმლოებები? არა მგონია და ამ ასაკში ბევრი როდი გამხდარა სასკოლო ჩემპიონატისა და კახეთის რეგიონული პირველობის ჩემპიონი. ხომ კარგი შედეგია, არა?!..***

***ამ ცელქმა და მოუსვენარმა, მაგრამ აქედანვე მიზანდასახულმა გოგონამ ჭადრაკის თამაში პაპისაგან შეისწავლა და ხშირადაც თამაშობდნენ სახლში. მართალია, სახლში და ტურნირებში – უმეტესწილად დამარცხებული პაპა გამოდიოდა, მაგრამ მარიამი ამჩნევდა, რომ პაპა ამას განგებ აკეთებდა და გადაწყვიტა – სერიოზულად შეესწავლა ჭადრაკი და პაპისთვის მოეგო. ამ ინტერესმა და გადაწყვეტილებამ მიიყვანა ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲭᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ და მისი მშობლები ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ჭადრაკის წრეზე მწვრთნელ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ, გასული, 2024 წლის ოქტომბერში.***

– ჭადრაკის გარდა, ხატვა და ძერწვაც მაინტერესებს, მაგრამ მათში ყველაზე მეტად ჭადრაკის თამაში მომწონს და უფრო ამიტომაც შევედი მის შესასწავლად, – ***გვიყვება საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის პირველი კლასის ზრდილობიანი, შრომისმოყვარე, ჭკვიანი, მიზანდასახული და ცელქი*** (ეს მისი ავტოდახასიათებაა) ***მოსწავლე***. მე და ჩემს მშობლებს დიდი სურვილი გვაქვს, რომ მომავალში გავხდე ცნობილი მოჭადრაკე. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ და მიწყობენ ხელს, რომ კარგად შევისწავლო ჭადრაკი. მონაწილეობას მაღებინებენ სხვადასხვა ტურნირებში.

***– მარიამ, მოდი, შენი გასული წლის პირველი წარმატება გავიხსენოთ ჭადრაკში, შიდა სასკოლო ჩემპიონატზე...***

– ჩემი პირველი წარმატება 2024 წლის დეკემბერში იყო, როცა მონაწილეობა მივიღე საგარეჯოს შიდა სასკოლო ჩემპიონატში სწრაფ ჭადრაკში 7 წლამდე ასაკის გოგონათა შორის და დავიკავე I ადგილი.

***– ყოჩაღი გოგონა ხარ! ოქტომბრის თვეში ჭადრაკის შესასწავლად შეხვედი და დეკემბერში სასკოლო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდი. ამ წლის დასაწყისში კი კახეთის რეგიონულ ჩემპიონატში კვლავ პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვე. ამაში პაპაშენის დიდი დამსახურებაცაა ალბათ. რა ასაკში გახდი ჩემპიონი?***

– ეს ჩემპიონატი ჩატარდა თელავში 25-26 იანვარს, 8 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, სადაც დავიკავე პირველი ადგილი და მოვიპოვე საქართველოს ჩემპიონატის საგზური. მინდა, რომ ევროპის საგზურიც მოვიპოვო და იმედი მაქვს, მასაც მოვიპოვებ.

***– რას იტყვი თბილისის ღია ჩემპიონატზე?***

– თბილისის ღია ჩემპიონატი ჩატარდა 14 თებერვალს, სადაც მოვხვდი პირველ ხუთეულში. მომავალში ვეცდები ელენე მასწავლებლის დახმარებით უფრო უკეთ შევისწავლო პარტიები, გავხვდე უფრო შრომისმოყვარე და მიზანდასახული, რომ გავამართლო ჩემი და ჩემი მშობლების იმედები.

***– მარიამ, როგორ გაქვს გადაწყვეტილი, დიდობაშიც გაჰყვები ჭადრაკის თამაშს, თუ რა გინდა გამოხვიდე?***

– მომავალში მინდა ვიყო ცნობილი მოჭადრაკე და ასევე გავხდე ხატვის მასწავლებელი, რადგან ორივე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

***– მარიამ, თუ იცი, საქართველოში რამდენი გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი გვყავს და ვის გინდა დაემსგავსო?***

– ჩემი მისაბაძი მოჭადრაკეა ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი ელენე ფარეშიშვილი. მინდა, რომ მომავალში მქონდეს ჩემი მასწავლებელივით ბევრი წარმატებები ჭადრაკში.

***– კარგი. აბა შენ თუ იცი, ამ წელში კიდევ რა შეჯიბრებებში მიიღებ მონაწილეობას? გამოხვალ მაისში საქართველოს ჩემპიონატზე თუ არა?***

– დიახ, უნდა მივიღო მონაწილოეობა და იქამდე უფრო კარგად და გულდასმით უნდა მოვემზადო, რომ შევძლო კარგი შედეგების მიღწევა.

***– აბა შენ იცი! ჭადრაკის მასწავლებელმა ირაკლი ქვლივიძემ ისე გაქო და მოიწონა შენი თამაში, რომ იმედია გაამართლებ შენი და შენი დედ-მამის მიზანს, გახდები დიდი და ცნობილი მოჭადრაკე.ღმერთმა ხელი მოგიმართოს ამ დიდი მიზნის აღსრულების საქმეში.***

*ᲒᲘᲕᲘ ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ*

# „ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ“



**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ყოველთვის, ყველიერის დასასრულს, პატარა ჩაილურში გამართულ „ბერიკაობის“ ტრადიციულ ზეიმს არც წელს ჩაუვლია ქართული ჭიდაობის გარეშე. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ძალისხმევითა და სოფლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ნახერხმოყრილ მოედანზე ჩატარდა შეჯიბრება სხვადასხვა წონითი კატეგორიის მოჭიდავეებში. აქედან, 40 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა სოფელ მზისგულის ჭიდაობის წრის აღსაზრდელი **ᲚᲣᲙᲐ ᲒᲘᲥᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.** მომდევნო 45 კგ-ში პირველ ადგილზე გავიდა მისი თანასოფლელი **ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲭᲘᲙᲐᲫᲔ**. 55 და 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ ასევე მზისგულის წარმომადგენლები **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲖᲘᲠᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲯᲐᲤᲝᲨᲕᲘᲚᲘ** (***მწვრთნელი ს. ჭიკაძე).***

70 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო მწვრთნელ მამუკა მათიაშვილის მოსწავლე – გიორგი სონიძე. 80 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა თბილისელი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

აბსოლუტურ ფალავნობაში ჩემპიონი გახდა და დაწესებული პრიზი ჭედილა დაიმსახურა **ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲡᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ***(მწვრთნელი მ. მათიაშვილი)***

შეჯიბრებაში გამარჯვებული ფალავნები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით.

# „ᲛᲨᲝᲑᲔᲚ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲛᲘᲓᲒᲐᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ“

# ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘ

## ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „პატარძეული ჩემი მშობლიური სოფელიცაა, შთაგონების წყაროც, საზოგადოებრივი და საინფორმაციო აქტიურობის ასპარეზიც“

**ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ“ №4**

**ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲔᲚᲔᲑᲡ** ძალიან კარგად გვესმის, რომ ბავშვები კარგ მოქალაქეებად შეიძლება აღიზარდნენ სწორედ საუკეთესო მაგალითების მეშვეობით. ბუნებრივია, ეს კარგად აქვს გააზრებული ჩვენს საინიციატივო ჯგუფსაც. მოსახლეობაში წარმოიშვა აზრი, რომ 2022 წელს სოფლის ცენტრში აშენებულ ახალ სპორტულ მოედანს დარქმეოდა ნიჭიერი პატარძეულელი ფეხბურთელის, გიორგი ოდიკაძის სახელი. გიორგი ძალიან ნაადრევად, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა და უამრავ ადამიანს უზომოდ დაგვწყვიტა გული. ჩვენი საინიციატივო ჯგუფის აქტიურმა წევრმა, თსუ-ს პედაგოგმა თეონა ლაფერიშვილმა უზრუნველყო ხელმოწერების შეგროვება, რაც განცხადებას დაერთო თან და მერიაში შევიტანეთ. დამზადდა შესაბამისი აბრა. გასული წლის 7 ივლისს, მოედანს ოფიციალურად მიენიჭა გიორგი ოდიკაძის სახელი, რაც მისმა ოჯახმა, მეგობრებმა, თანაგუნდელებმა, თანასოფლელებმა საზეიმო ვითარებაში აღვნიშნეთ.

პატარძეული უფლისგან დალოცვილი სოფელია და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მის შვილებს ძალიან კარგად შეუძლიათ საზოგადოებრივი ინიციატივების განსახორციელებლად გაერთიანება. სოფელში ორი ეკლესია მთელი დატვირთვით ფუნქციონირებს: ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტერი და შიო მღვიმელის სახელობის ეკლესია. უფალთან სიახლოვე კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ ერთიანობის გაძლიერებას. გასული წლის ბოლოს, ამჯერად უკვე მეორედ, სოფელმა ერთიანი ძალებით ძალიან ლამაზად განახორციელა ზემოთ ხსენებული თეონა ლაფერიშვილის მიერ შემოთავაზებული იდეა: საახალწლო მოსართავებით დავამშვენეთ სოფლის ცენტრში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარი ნაძვის ხე და 30 დეკემბრის საღამოს არაჩვეულებრივი საახალწლო ღონისძიება გავმართეთ. ეს შესანიშნავი ახალი ტრადიციაც დავამკვიდრეთ და ამითაც იყო გამორჩეული გასული წელი.

იცით, კიდევ რატომ აღვნიშნე, რომ პატარძეული უბრალოდ რომელიმე დასახლებული პუნქტი კი არა, არამედ ფენომენალური სამყაროა? - გასული წლის თებერვალში სრულებით შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ პატარძეულელი ნინო სიბოშვილი იტალიასა და აშშ-ში გამოსცემს გაზეთს „ქართული ფესვები“. წარმოიდგინეთ, 2024 წლის თებერვალში ინტერნეტში ვკითხულობ ინფორმაციას, რომ თბილისში დაგეგმილ ერთ-ერთ გამოფენაზე გამოტანილი იქნება ვინმე ნინო სიბოშვილის ფოტონამუშევრებიც. დავინტერესდი, გავყევი საქმეს და აღმოვაჩინე, რომ პატარძეულში, უსტიაანთ უბანში გაზრდილი, ჩემი თანატოლი ნინო სიბოშვილი ბევრ კარგ საქმეს აკეთებს ქართული ემიგრაციისთვის, არის ტელეკომპანია „ქართული ტვ“-ს ჟურნალისტი, მართავს საქველმოქმედო ღონისძიებებს, ქართველ ემიგრანტებს ეხმარება და ზემოთ ხსენებულ გაზეთს გამოსცემს. შევეხმიანე მას და წარმატებით განხორციელდა ჩვენი თანამშრომლობა: 18 აპრილს თბილისში საზეიმოდ აღვნიშნეთ გაზეთის დაარსებიდან 1 წლის იუბილე. ნინო საოცრად პატრიოტი ადამიანია და თურმე, დიდი სურვილი ჰქონია, რომ მომხდარიყო მისი გვარის - სიბოშვილების დალოცვა. მანამდეც ყოფილა მცდელობები, მაგრამ ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. გვარის დალოცვის მომზადება მთელ რიგ, არცთუ იოლ პროცედურებს მოიცავს. ნინომ მთხოვა, რომ მივხმარებოდი. დიდმა მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო: გვარის მფარველად წმინდა მეფე თამარი შეირჩა და მისი ხატი დაიწერა. გვარის წინამძღოლად არჩეულ იქნა ძალიან მორწმუნე ადამიანი, ცნობილი მწერალი იოსებ სიბოშვილი, რომელიც ძლივს დავითანხმე, რომ ეს ტვირთი ეკისრა. გასული წლის ზაფხულში წარმატებით განხორციელდა გვარის დალოცვა.

რა თქმა უნდა, სწრაფად გახმაურდა ინფორმაცია „ქართული ფესვების“ იუბილეს გამართვის შესახებ. გაზეთის და პატარძეულის შესახებ სასაუბროდ მიმიწვია „ქართული ტვ“-ს ერთ-ერთი გადაცემის, „საუბრები ქართულ ჟურნალისტიკაზე“ ავტორმა და წამყვანმა, პროფესორმა დიანა ტყებუჩავამ. ყველანაირად შევეცადე, მოკლე დროში მეტი მომეთხრო ჩვენი საოცარი სოფლისა და მისი ღირსეული შვილების შესახებ.

მაისის დასაწყისში კი, მედიაჰოლდინგმა „კვირამ“ ჩემს შესახებ დაბეჭდა საკმაოდ მოცულობითი წერილი, სადაც განსაკუთრებული ადგილი სწორედ პატარძეულის შესახებ საუბარს დაეთმო, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი უღრმეს მადლობას პროფესიონალ ჟურნალისტებსა და საპატივსაცემო პიროვნებებს: „კვირას“ ხელმძღვანელს, ქეთი ხოსიტაშვილს და სტატიის ავტორს, თამარ შაიშმელაშვილს.

გასული წელს მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტებს შორის არ შემიძლია, არ გავიხსენო ის შეხვედრა, რომელიც აპრილის მიწურულს პატარძეულის საშუალო სკოლამ გამართა. პროექტის „ბავშვები ბავშვებისთვის“ ფარგლებში, რომლის ავტორები ნინო და მერიკო უსტიაშვილები არიან, სკოლის მოსწავლეები შეგხვდნენ: იოსებ სიბოშვილს, ალექსანდრე მაზანაშვილს, კახა ლაფერიშვილს და თქვენს მონა-მორჩილს. მიწვეულმა სტუმრებმა ვისაუბრეთ არა მხოლოდ ჩვენს პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, არამედ იმ ღირებულებებზეც, რომლებიც აუცილებელია, რათა ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდეს თავის სამშობლოს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ცოტა მოგვიანებით ხსენებულმა პროექტმა რესპუბლიკურ კონკურსზე გაიმარჯვა.

„სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა, სამშობლო ჩემი ლექსის სახელი,“- მე არ მეგულება პატარძეულელი კაცი, რომელსაც დიდი გოგლას ეს ცნობილი სტრიქონები მთელი ცხოვრება არ ახსოვდეს, როგორც უდიდესი მოწოდება: სიცოცხლის ბოლომდე პირუთვნელად ემსახურებოდეს თავის სამშობლოს. რა თქმა უნდა, მეც და ჩემი თანატოლებიც ამ სიტყვების ძალასა და მადლზე აღვიზარდეთ....

სწორედ პატარძეულის წარმოსაჩენად, გასულ წელს მონაწილეობა მივიღე რევაზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსში (კონკურსი შარშან მეთხუთმეტედ გაიმართა) ჩემი მოთხრობით „სალოცავი ნიში“. იგი ეხება რეალურად მომხდარ ფაქტებს: 70-იანი წლების მიწურულს გელა უნაფქოშვილმა თავისი ძალებით და მეზობლების დახმარებით აღადგინა წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი ნიში, ხოლო 1981 წელს ლადიკო ელერდაშვილმა - ღვთისმშობლის ეკლესია. ორივე შემთხვევაში პატარძეულელები სამაგალითოდ გაერთიანდნენ და ყველას დაანახეს, რომ უფლისადმი რწმენას ალტერნატივა არ აქვს...

ჩემი მოთხრობა წარმატებული აღმოჩნდა: დამასახელეს კონკურსის პრიზიორად და საპატიო ჯილდოც გადმომეცა - დიდი ქართველი მხატვრის რევაზ ადამიას ტილო „ზამთარი სოფლად“.

2024 წელი რომ წარმატებების პერიოდი იყო, ეს იმაშიც აისახა, რომ რუსეთში გაზრდილმა ყოჩაღმა პატარძეულელმა ბიჭმა, მოკრივე გიორგი ყუშიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო ოლიმპიადაში. თურმე გიორგი გაჭირვებაში იზრდებოდა, პატრონი არ ჰყავდა, მაგრამ ძლიერი ნების და მონდომების შედეგად, ოლიმპიადამდე მიაღწია. მართალია, არ გაუმართლა და ოლიმპიადა ვადაზე ადრე დატოვა, მაგრამ შექმნა კიდევ ერთი პრეცენდენტი: ძლიერია ჩვენი გენეტიკა და დიდ მონდომებას ყველაფერი შეუძლია.

# დედა

**„ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა!“**

*ვაჟა-ფშაველა*

# როცა შენი ვალი მოხდილი გაქვს



ორი ათეული წლის წინ გავიცანი – ეკლესიის ერთ-ერთი კუთხე ჰქონდა „ამორჩეული“, აი, ისეთი, შეუმჩნეველი რომ იქნებოდა ყველასთვის... იდგა, შრომისგან ოდნავ შესიებულ ხელებში სანთლებით, იმ სანთლებს უყურებდა, გულისყურით კი ამბიონიდან მოძღვრის სიტყვებს უსმენდა, ზოგჯერ თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდებოდა, ჩუმადვე მოიწმენდდა და ისევ სანთლებს მიაპყრობდა მზერას, ან იქვე, დედაღვთისას ხატს შეავლებდა მოკრძალებულ მზერას... ვუყურებდი და ვფიქრობდი – რა გულიანად ლოცულობს, რა მოკრძალებულად დგას უფლის სახლში, იქნებ ზოგიერთ ეკლესიის მსახურზე მეტადაც მისი გულმხურვალე ლოცვა დაუბრკოლებლად აღწევს უფლის გულამდე. მიაღწევდა, შეაღწევდა, აბა, ისე როგორ აევსებოდა თვალები ცრემლებით...

ეს ქალბატონი, 10 შვილის დედა, გიორგიწმინდელი **ვარდიკო ჯამალაშვილია.** 1980 წელს შექმნეს ოჯახი ქალბატონმა ვარდიკომ და ფრიდონ კევლიშვილმა. ერთად დაიწყეს ოჯახის უღლის გაწევა, დიახ, ერთად და თანაბარი ძალებით სახლიც ააშენეს და 20 წელიწადში 10 შვილის მშობლებიც გახდნენ. პირველმა – გენადიმ აახმიანა ჭერი, შემდეგ გოჩა, რამაზი (ჯაბა), გია, ნინო, ნატო, მარიამი, ნიკა, ქეთევანი, ლუკა მოჰყვა მათ. ერთმანეთზე უკეთესები – აი, ისეთები, მხოლოდ გიორგიწმინდა რომ არ იამაყებს მათი კარგი ადამიანობით, კახეთი და საქართველოც სიამაყით იტყვის, რომ მისი შვილები არიან, ერთმანეთზე უკეთესები, შრომისმოყვარეები, გამტანები, უპირობოდ სიყვარულით სავსეები, ზნეკეთილები და მუდამ სხვებზე მზრუნველები, სხვების გვერდით დაუყვედრებლად მდგომები.

არავისთვის არ უგრძნობინებიათ 90-იანი და ორი ახალი ათასწლეულის პირველი ათეული წლების საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ცხოვრებისეული სიმძიმე და გასაჭირი – ყოველთვის მშობლების გვერდით შრომობდნენ, ყოველთვის იცოდნენ, რომ შრომით, საკუთარი ოფლით მოპოვებული პურიც და ფულიც დაუყვედრებელია და ტკბილი – უვლიდნენ საკუთარ მიწას, მოჰყავდათ მოსავალი, შრომობდნენ და მშობლებთან ერთად თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ



ნინოს, ნატოს, მარიამს, ქეთევანს... თუმცა, არც გოგონები რჩებოდნენ ვალში მშობლებსა და ძმებს, ისინიც შრომობდნენ, სწავლობდნენ...

ბიჭები სპორტშიც იყვნენ „დასაქმებულები“ – სოფლის სპორტდარბაზში ქართული ჭიდაობის ილეთებთან ერთად ძიუდოს ილეთებიც კარგად შეისწავლეს, თუმცა ქართველ კაცს და მით უმეტეს, გიორგიწმინდელს ოდითგან, მამა-პაპათაგან გადმოეცემა ილეთების ნიჭი. ერთ ხანს ლუკა საკმაო წარმატებებს აღწევდა სპორტში, მისი ხუთი ძმა და ოთხი და, მეგობრები, თანასოფლელები, თანაგუნდელები, სკოლა ამაყობდა ლუკას სპორტული წარმატებებით, თუმცა, სიმართლე ვთქვათ, სკოლა დღესაც ამაყობს ათივე მოსწავლის მიერ გავლილი სასკოლო გზითა და დღევანდელი საქმიანობით. აი, რა გვითხრა გიორგიწმინდის საჯარო *სკოლის დირექტორმა* ქ-ნმა **მერი ჯიაბერაშვილმა:**

*– კევლიშვილების ათივე შვილმა ჩვენი სკოლის კედლებში გაატარა მოსწავლეობის ყველაზე ლამაზი წლები. ერთი ოჯახი ათი შვილის სწავლა-აღზრდას რომ განდობს, მართლაც სასიხარულოა ჩვენთვის, ჩვენი პედაგოგებისთვის. ვერც ერთ ვაჟზე ვერ ვიტყვით, რომ ცელქები იყვნენ, ვიტყვით იმას, რომ მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სწავლას, კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ჩვენი სკოლის შენობა ერთ-ერთი ულამაზესი და სხვა სკოლებისგან განსხვავებული ინფრასტრუქტურით იყო აშენებული, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღებით იყვნენ მეგობრების მიმართაც. ლუკას სპორტული წარმატებები ყველას გვახარებდა, გვახარებდა და დღესაც გვახარებს მათი შინაგანი კულტურა, მათი ერთმანეთის მიმართ დიდი სიყვარული, მზრუნველობა, გვერდში დგომა, ერთად შრომა, მშობლების მხარდამხარ ყოფნა, დებზე განსაკუთრებულოი ამაგი და მზრუნველობა. გოგონებიც ძალიან ბეჯითები, მოწესრიგებულები, თავაზიანები იყვნენ და არიან. დიახ, მათი და-ძმობა, დედ-მამიშვილობა მისაბაძი და საამაყოა ჩვენი სკოლის, ჩვენი სოფლის თითოეული ახალგაზრდისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობდი და დღესაც ასეა, მშობლებიდან თითოეული შვილის მიმართ, მიუხედავად საშინაო თუ გარეთ მოჯარული საქმეებისა, მათ დედას, ქ-ნ ვარდიკოს არასოდეს გაუცდენია არც მშობელთა კრება და არც ერთი წუთი არ მოუდუნებია ყურადღება შვილების სწავლის მიმართ – ყოველთვის ენდობოდა, მაგრამ ამოწმებდა შვილებს. ამიტომაც გაიზარდნენ ჩვენთვის, გვარის და სოფლის საამაყო გოგონები და ბიჭები.*



დღეს ვარდიკო და ფრიდონი 10 შვილთან ერთად 5 შვილიშვილის ბებია-პაპაა. გენადი ოჯახის მამაა, გოგონებმაც ნატომ და ნინომაც შექმნეს ოჯახები, ისევ შრომაში არიან, ისევ ქართული სიჯიუტით, შრომისმოყვარეობით ეჭიდებიან ქართულ მიწას, ამუშავებენ, პატრონობენ და მოწეული ხვავითა და ბარაქით ოჯახის ანგელოზსაც ახარებენ.

ქ-ნი ვარდიკო კი თითოეული შვილის, შვილიშვილის თავს ავედრებს დედაღვთისას, პირჯვარს ჩუმად წერს შვილებს სასიკეთო გზებზე წასასვლელად...

> **„დედა მარტო დედა არაა! ყველაფერია, რაც ამ ქვეყანასთან გვაკავშირებს, რასაც სული უდგას და მზე უცქერის“.**
>
> *ოტია იოსელიანი*

# შვილები – ჩემი სიმდიდრე



**2009 წლის** 3 თებერვალს თბილისში, საქართველოს საპატრიარქოს ანას და იოაკიმეს სახელობის სამშობიარო სახლში,, ამავე სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის – მამა ადამის (ადამაშვილის) მეთვალყურეობის ქვეშ სამი ტყუპი დაიბადა, სამივე საგარეჯოელი. ჯერ თეკლა – წონით 2,700 კგ, შემდეგ ქეთა – 2.600 და ჯენტლმენურად გოგონებისთვის გზის დამთმობი გუგა – 3600. ეს მართლაც იშვიათი შემთხვევა იყო იმ პერიოდისთვის და სამშობიარო სახლის ყველა თანამშრომელი მთავარი ექიმის ხელმძღვანელობით ფეხზე იდგა.



სასიხარულოა ისიც, რომ ამ პატარა არსებებს საგარეჯოში დები და ძმა ელოდებოდათ. მარიამი – 17 წლის, ლიკა – 16 წლის, გიორგი – 14 წლის. დედა ნინო პატაშური მაშინ 37 წლის იყო, მამა – ზურაბი – 46-ის.

ერთად ტიროდნენ, ერთად ითხოვდნენ კვებას, გოგონები უფრო პრეტენზიულები იყვნენ, ვაჟი – ვაჟკაცურად იტანდა მათ ჭირვეულ ხასიათს. უფროსი დები და ძმა თავს დაჰფოფინებდნენ, თითქმის ექვსივე ერთად იძინებდა და იღვიძებდა, ერთად ისწავლეს პირველი ნაბიჯების გადადგმა, ერთად „აილესეს“ ენები.

თეკლა, ქეთა და გოგა დედასთან ხელჩაკიდებულები მივიდნენ საგარეჯოს მეორე საბავშვო ბაღშიც, სადაც დედა აღმზრდელ-მასწავლებლად დღესაც მუშაობს. ერთად დადიოდნენ, უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ... სკოლაშიც ერთად მივიდნენ და დღეს საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის საამაყო მოსწავლეები (მეათეკლასელები) არიან. გუგა პერსპექტიული ფეხბურთელია, წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ მწვრთნელები. ამასთან, ხეზე კვეთის დიდოსტატიცაა. თუმცა მასზე ხელოვანი უფრო ითქმის, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ვერ მოიცლის ხელოვნების ნიმუშებისთვის – დრო არ ჰყოფნის. გიორგიც მამას ეხმარება და მათზე, როგორც შემოქმედ ადამიანებზე მართლაც დიდია მოთხოვნა – სახლის თუ ოფისის გასალამაზებლად. ნინო პატაშურის ხელით შექმნილი ხელოვნების ნიმუშები კი საბავშვო ბაღის შენობას და ოთახებს ამშვენებს.

ექვსი შვილის დედა – ქ-ნი ნინო პატაშური თავის შვილებსა და იმ შვილიშვილზე ფიქრსა და საზრუნავს თავის აღსაზრდელებზე მზრუნველობას ამატებს,, დღენიადაგ მათზე ზრუნავს – როგორ გაულამაზოს ყოველი დღე, რა უსაგზლოს ცხოვრების შემდგომ გზაზე გასავლელად, ამიტომაცაა, არა მარტო საგარეჯოს №2 საბავშვო ბაღის ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელ-პედაგოგია, მუნიციპალიტეტის მასშტაბითაც საამაყო პედაგოგია.

დღეს ქალბატონი ნინო და მისი მეუღლე ორ შვილიშვილსაც ზრდიან და შეჰხარიან.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com